პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 21 ოქტომბერი, 1942 წ. № 250 (6566). ფასი 15 კაპ.

სანიმუშოდ მოვაწყოთ საქონლის გამოზამთრება

ახლოვდება ზამთარი, რომელიც ფრიად პასუხსაგები პერიოდია მეცხოველეობაში. ახლა ამოცანა ის არის, რომ საუკეთესოდ მოვემზადოთ საქონლის გამოსაზამთრებლად. ჩვენი სახელოვანი წითელი არმია მძიმე ბრძოლებს ეწევა ვერაგი მტრის გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. ომიანობის ვითარება საქართ- [illegible]

[illegible] —ასეთია ამოცანა. მზარდი საზოგადოებრივი მეცხოველეობა მეტ საკვებს მოითხოვს. ეს გვიკარნახებს ყველაფერი გავაკეთოთ საკვების რესურსების მაქსიმალურად გასადიდებლად. თითოეულ კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას მიეცემა დამატებითი გეგმა საკვების დაგროვებისა რკოს, წიწიბოს, ტყის ხილის, ნეკერის შეგ- [illegible]

[illegible] კოლმეურნეობათა [illegible] იონის მთელ რიგ კოლმეურნეობებს უფრო მეტი მუშაობა მართებთ საქონლის საკვებით მომარაგების დარგში. საქმე ის არის, რომ ჩალა და სხვა უხეში საკვები უდანაკარგოდ აიღონ.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, რომელიც გაზ. „კომუნისტის" 20 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა, მოცემულია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საქონლის საუკეთესოდ გამოზამთრების კონკრეტული პროგრამა. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და მათი პოლიტგანყოფილებათა უფროსების, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების ვალია ბოლშევიკური შეუპოვრობით განახორციელონ საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ეს დადგენილება.

თითოეულ კოლმეურნეობაში უნდა შემოწმდეს, თუ როგორ სრულდება საკვების დაგროვების გეგმის შესრულება. მთელი მუშაობა ისე უნდა წარვმართოთ, რომ ზამთარში საქონელი უზრუნველვყოთ უხეში, წვნიანი და კონცენტრირებული საკვებით. ბაგურ კვებაზე დაყენებული საქონელი უზრუნველვყოთ კარგი მოვლით, არ დაეცეს არც ერთი სული საქონელი, [illegible] ლიტონ სიტყვად დარჩება, თუ მოწესრიგებული არ იქნება მთელი დამზადებული საკვების აღრიცხვა. საკვების ზუსტი აღრიცხვა და შემოსავალში ჩაწერა უნდა ხდებოდეს ყველა არსებული წესის დაცვით.

გადაჭრით უნდა გავაძლიეროთ საქონლის სადგომების მშენებლობა და რემონტი, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ამ საქმეში ადგილობრივი რესურსები და უზრუნველვყოთ საქონელი თბილი, სუფთა და სინათლიანი ბინებით.

საზაფხულო საძოვრებიდან ცხვარი უკვე დაიძრა საზამთრო საძოვრებისაკენ. საზამთრო საძოვრებზე საკვების მიზიდვა და სადგომების მშენებლობის დამთავრება ომიანობის ტემპებით უნდა ვაწარმოოთ. მეცხოველეობის რაიონების მუშაკებმა ორგანიზებულად, სანიმუშოდ უნდა მოაწყონ ცხვრის გარეკა.

საქართველოს მეცხოველეობის მუშაკები ჩაბმული არიან წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში. კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ შეჯიბრება, საქმით შევასრულოთ ნაკისრი ვალდებულებები და ახალი საწარმოო გამარჯვებებით შევხვდეთ დიდი ოქტომბრის რევოლუციის XXV წლისთავს. მივცეთ ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას მეტი ხორცი, ერბო-კარაქი, რძე, ტყავი, მატყლი,—ასეთია საბრძოლო დავალება.

უფროს სერჟანტ გ. ა. გიორგობიანის დაჯილდოება

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების უფროსთა შემადგენლობის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ უფროსი სერჟანტი გიორგი ალექსის-ძე გიორგობიანი დაჯილდოებულია მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის".

ვ. ყარა-მურზა

ბრძოლები მოზდოკის რაიონში

მოქმედი არმია, 20 ოქტომბერი (საკ. დესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ჩვენი ნაწილები ბრძოლებს ეწევიან მტრის ქვეითი ჯარისა და ტანკების წინააღმდეგ. გერმანელები თავიანთ ჯარისკაცთა გვამებზე მოაბიჯებენ და ცდილობენ წინ წამოიწიონ. მაგრამ საბჭოთა მებრძოლები ფაშისტების მრავალ იერიშს იგერიებენ, კონტრიერიშებზე გადადიან და მოწინააღმდეგეს საგრძნობ დარტყმებს აყენებენ.

გუშინწინ, დილით დამარცხების შემდეგ, გერმანელებმა უეცრად დაიწყეს არტილერიისა და ნაღმსატყორცნის ძლიერი ცეცხლის დაშენა ჩვენს წინა კიდეზე, შემდეგ კი იერიშზე დაძრეს ერთი პოლკი ქვეითი ჯარი და 15 ტანკი. ჩვენმა საყარაულო რაზმმა დროულად აღმოაჩინა და დაინიშნა გერმანელთა შეჯგუფების ადგილი. ყველა ცეცხლითი საშუალება თავს დაატყდა მიზანს. ჰიტლერელებმა ბრძოლის ველზე დასტოვეს ბევრი გვამი და რამდენიმე დაზიანებული და დამწვარი ტანკი და საწყის პოზიციებზე დაიხიეს.

გუშინ დილით, როცა ღამის დარტყმას შემდეგ სული მოითქვეს, გერმანელებმა თავი მოუყარეს ახალ რეზერვებს და იერიშები განაახლეს. ზვავივით წამოსულ მტერს, რომელმაც ჩვენი საარტილერიო ბატარეების ცეცხლით ფარდა გაარღვია, დამიზნებული ზალპების ცეცხლი შეახვედრეს 6 ნაწილის მებრძოლებმა. შემდეგ ჩვენი მებრძოლების სწრაფი კონტრიერიშით გერმანელები უკუქცეულ იქნენ. ჩვენმა ნაწილებმა ღამით ერთ-ერთი დასახლებული პუნქტი დაიკავეს. განაგრძობდნენ მტრის შევიწროვებას და განდევნეს იგი ერთი ზღუდიდან. ამ ბრძოლის მსვლელობაში გაჟლეტილია 900-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ საომრისა და ტანსაცმლის საწყობი, აგრეთვე გერმანელთა სხვადასხვა საჭურველი.

მთის რაიონებში გერმანელები ცდილობდნენ დაებრუნებინათ წინადღით დაკარგული ზღუდეები. ჰიტლერელთა იერიშები აქაც მოგერიებულია. ბრძოლის მსვლელობაში ჰიტლერელებმა მარტო მოკლულთა სახით 300 კაცი დაჰკარგეს. ჩვენმა ნაწილებმა გერმანელთა მიერ დაკავებული დასახლებული პუნქტის გარემოცვის საფრთხე შექმნეს. გერმანელებმა დაუყოვნებლივ გადასწვეს ეს დასახლებული პუნქტი. დაიწვა 150 კომლი გლეხის სახლკარი და ქონება.

გ. ოშაროვსკი

აფხაზეთმა ვადამდე შეასრულა ჩაის კრეფის წლიური გეგმა

სოხუმი („კომუნისტის" საკ. კორ.). აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის საფუძველზე დაწესებულ ვადაზე 15 დღით ადრე 100,5 პროცენტით შეასრულა ჩაის კრეფის წლიური გეგმა. წელს მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა შარშანდელზე 200 ტონით მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი. განსაკუთრებით კარგად იმუშავეს გალის რაიონის კოლმეურნეობებმა და აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ, რომლებმაც გეგმის გადამეტებით 85,2 ტონა ფოთოლი მოჰკრიფეს. ჩაის კრეფის წლიური გეგმები შეასრულეს ოჩამჩირისა და გუდაუთის რაიონებმაც.

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა გრძელდება.

გ. მერკვილაძე

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

20 ოქტომბრის დილის ცნობა

19 ოქტომბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან სტალინგრადის რაიონში და მოზდოკის რაიონში. სხვა ფრონტებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

• • •

სტალინგრადის რაიონში გაფთრებული ბრძოლები გრძელდებოდა. მტრის ქვეითმა ჯარმა და ტანკებმა რამდენჯერმე მოიტანეს იერიში ჩვენს დასაყრდენ პუნქტზე ერთი ქარხნის რაიონში. ჩვენმა მებრძოლებმა მოიგერიეს ჰიტლერელთა იერიშები. ამ ბრძოლაში [illegible]

[illegible] ხელთ იგდეს ქვემეხი, რამდენიმე ტყვიამფრქვევი და საომარი მასალა.

• • •

მინსკელ პარტიზანთა რაზმმა ააფეთქა რკინიგზის ეშელონი მტრის ცოცხალძალითურთ. ყველა ვაგონი მოსპობილია.

• • •

წითელი არმიის მხარეზე გადმოსულმა გერმანელთა 3რ-ე მოტოდივიზიის 118-ე მოტოპოლკის ეფრეიტორმა კარლ პ-მა განაცხადა: „ერთი თვის წინათ ავსტრიიდან აღმოსავლეთის ფრონტზე გამოვემგზავრე სამარშო ბატა- [illegible]

[illegible] ების შეტევაში იღებდნენ მონაწილეობას, ამ დღეების განმავლობაში პირადი შემადგენლობის 70 პროცენტი დაჰკარგეს.

• • •

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ნაწილები დაკავებულ ზღუდეებს ამაგრებდნენ და ცალკეულ უბნებზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ. ქვეგანაყოფის მებრძოლებმა ამხ. მოლოჩევსკის მეთაურობით თოფ-ტყვიამფრქვევისა და ნაღმსატყორცნის ცეცხლით ორ ასეულამდე რუმინელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტეს, მოსპეს 3 ტყვიამფრქვევი და ჩააჩუმეს მტრის ორი ნაღმსატყორცნი ბატარეის ცეცხლი. ნ ნაწილის მეზენიტეებმა გერმანელთა ორი თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

• • •

მოზდოკის რაიონში ჩვენი ნაწილები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა ღამით ერთი დასახლებული პუნქტი დაიკავეს, ჰიტლერელების შევიწროვებას განაგრძობდნენ და ერთი ზღუდიდან გარეკეს ისინი. ბრძოლების შედეგად ამ უბანზე გაჟლეტილია 900-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ მტრის სურსათისა და ტანსაცმლის საწყობი, აგრეთვე სხვადასხვა საჭურველი.

• • •

ნოვოროსიისკის სამხრეთ-აღმოსავლეთით საზღვაო ქვეითი ჯარის ქვეგანაყოფებმა ამხ. გორდეევის მეთაურობით მტრის იერიში [illegible]

გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა ნანგრევებად აქციეს ძველი რუსული ქალაქი ნოვგოროდი. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ბევრი ქუჩა პირდაპირ მიწასთან არის გასწორებული. ჰიტლერელებმა ააფეთქეს და დასწვეს არა მარტო სკოლები, თეატრები, საავადმყოფოები, ბიბლიოთეკები და სხვა კულტურული დაწესებულებები, არამედ ძველი დროის უძვირფასესი ძეგლებიც. ფაშისტმა მძარცველებმა ქვის გროვად აქციეს ნოვგოროდის ძველი კრემლი, ააფეთქეს რუსული ხუროთმოძღვრების ძეგლი—სოფიის ტაძარი და მრავალი სხვა ნაგებობანი, რომლებიც უდიდეს ისტორიულ და კულტურულ ღირებულებას წარმოადგენდნენ. დანგრეული შენობების ავეჯს გერმანელი დამპყრობნი სამხედრო სიმაგრეების ასაგებად ხმარობენ. ქალაქში ახლა საბჭოთა მცხოვრებნი აღარ არიან, ყველანი გასახლეს ან იძულებით სამუშაოზე გაგზავნეს.

• • •

საბერძნეთის მოსახლეობა შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევს გერმანელ და იტალიელ ოკუპანტებს. აგრინიონის ტბის რაიონში შეიარაღებული გლეხები თავს დაესხნენ იტალიელთა გარნიზონს, 29 ოკუპანტი დახოცეს და მთებს შეაფარეს თავი. იტალიის სადამსჯელო რაზმმა ახლომახლო სოფლებში 400-ზე მეტი მძევალი დააპატიმრა. ბერძენი პატრიოტები თავს დაესხნენ ბანაკს, რომელშიც პატიმრები იყვნენ, დახოცეს მცველები და გაათავისუფლეს მძევლები.

20 ოქტომბრის საღამოს ცნობა

[illegible]

ბრძოლები სტალინგრადისათვის

მოქმედი არმია, 20 ოქტომბერი [illegible]

[illegible] რამდენიმე ხნის შემდეგ ჰიტლერელებმა კიდევ რამდენიმე ათეული ტანკი გამოიყვანეს და კვლავ შეტევაზე გადმოვიდნენ. ფაშისტების მეორე იერიში მოგერიებულ იქნა, ისევე როგორც პირველი. მტერმა დიდძალი ტანკი და ცოცხალი ძალა დაჰკარგა და უკუიქცა. დღის დამლევს ბრძოლა წინანდელ ზღუდეებზე გრძელდებოდა.

დიდ აქტივობას იჩენს გერმანელთა ავიაცია. ფაშისტთა ბომბდამშენები დღეში 2.000 გაფრენას აწყობენ. ბომბების გასკდომისაგან გაშავებულ მიწაზე განუწყვეტლივ ცვივა ლი- [illegible]

[illegible] დროულად გერმანელთა რამდენიმე ავიაგამანადგურებელს ებრძოდა. მისი თვითმფრინავი დაზიანდა, თვითონ ლავრინენკო კი დაიჭრა. მიუხედავად ამისა, მან პირდაპირი იერიშით ჩამოაგდო „მესერშმიტ-109" და მშვიდობით დაბრუნდა თავის ბაზაში.

გამანადგურებელი მფრინავები მაიორ ჩუიკინის მეთაურობით გერმანელთა თვითმფრინავების დიდ ჯგუფს შეხვდნენ. გაიმართა ბრძოლა, რომელშიც ჩვენმა ავიაგამანადგურებლებმა მტრის 8 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

დ. შჩუკინი
ნ. მარკოვსკი

ნოვოროსიისკის რაიონში

მოქმედი არმია, 20 ოქტომბერი (საკ. დესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ნოვოროსიისკის რაიონში გაფთრებული ბრძოლები გრძელდება. მტერი შეუპოვრად მოისწრაფვის წინ და ყოველი საშუალებით — ხევებზე, ხეობებზე თუ ფლანგიდან შემოვლით — ცდილობს შემოიჭრას ჩვენს თავდაცვაში, ზურგში მოექცეს საბჭოთა ნაწილებს. საბჭოთა მებრძოლნი მედგრად იგერიებენ ჰიტლერელთა შემოტევას.

საბჭოთა მეომრებმა ალყა შემოარტყეს ფაშისტების მიერ ამას წინათ დაკავებულ დასახლებულ პუნქტს და დაიკავეს ამ პუნქტის ჩრდილოეთით მდებარე მაღლობი. დღე-ღამის განმავლობაში აქ მტრის 300-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტეს. იმ ზღუდის წინააღმდეგ, რომელსაც იცავს ქვეგანაყოფი ამხ. ტიხოსტუპას მეთაურობით, ძლიერი საარტილერიო და სანაღმსატყორცნო მომზადების შემდეგ მტერმა შეტევაზე გამოიყვანა ქვეითი ჯარის პოლკი. მტრის ყველა იერიში მოგერიებულია.

მაღლობს, რომელსაც 6 ნაწილი იცავს, ჰიტლერელთა ბატალიონი უტევდა. წითელარმიელებმა თოფისა და ტყვიამფრქვევის ძლიერი სროლა ასტეხეს. მაგრამ მტერი კვლავ წინ მოძრაობდა. ჩვენს მსროლელებს არტილერისტები მიეშველნენ. მათ თავიანთი ქვემეხები თავდაცვის წინა კიდეზე გამოაგორეს და პირდაპირი დამიზნებით დაიწყეს მოწინააღმდეგის ცეცხლა. როცა ფაშისტები ჩაწვნენ, კონტრიერიშზე გადაეშვნენ იმ ქვეგანაყოფის მებრძოლები, რომელსაც ნეჩაევი მეთაურობს. რუმინელთა დიდი ჯგუფი კლდის უკან ჩასაფრდა. ათეულის მეთაური ტედრესი კლდესთან მიხოხდა და გრანატები დააყარა რუმინელებს. მტრის ჯარისკაცები, რომლებიც კლდის უკანიდან გამორბოდნენ, მეავტომატეთა ცეცხლში ხვდებოდნენ. ამ შეტაკებაში მოსპობილია ფაშისტთა 200-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. მტერმა საწყის პოზიციებზე დაიხია.

კ. პუხოვი

საოქტომბრო საჩუქრები გმირ წითელ არმიას

ცხაკაია („კომუნისტის" კორ.). საოქტომბრო საჩუქრების შესაძენად რაიონის საწარმოო-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებმა და კოლმეურნეებმა უკვე შეაგროვეს რამდენიმე ათეული ათასი მანეთი. ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის სადგურ ცხაკაიას მუშა-მოსამსახურეებს საჩუქრების ფონდში შეაქვთ 3.000 მანეთი, ახალი სოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს—4.000 მანეთი. დიდძალ საჩუქრებს ამზადებენ რაიმრეწვკომბინატის მუშა-მოსამსახურეები, ზნეფის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრები და სხვ.

საოქტომბრო საჩუქრების მომზადებაში თავი გამოიჩინა მოხუცმა პატრიოტმა პეიკო იოსავამ, რომელმაც რაიონში პირველმა შეიტანა საჩუქრების ფონდში 1.000 მანეთი.

ს. კუჭავა

სარესპუბლიკათაშორისო თათბირი პროპაგანდისა და აგიტაციის საკითხებზე

გუშინ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის სხდომათა დარბაზში მუშაობას შეუდგა სარესპუბლიკათაშორისო თათბირი პროპაგანდისა და აგიტაციის საკითხებზე.

თათბირი გახსნა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დავალებით საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ამხ. პ. ნ. ფედოსეევმა. [illegible]

[illegible] სახალხო კომისრები და სხვა [illegible] მუშაკები.

ლექციური პროპაგანდის გაქანებას მოწმობს, მაგალითად, ის ფაქტი, რომ მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში მარტო ქუთაისში წაკითხულ იქნა 220 ლექცია.

მაგრამ პარტიის ცალკეული რაიკომები (ლენინგორის, ბაშკიჩეთის და სხვ.) ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ იმას, რომ ლექციებისა და მოხსენებების წაკითხვაში ჩაბან- [illegible]

[illegible] ამხ. თავაძე თავის მოხსენებაში შეეხო პოლიტიკური აგიტაციის მთელ რიგ ფორმებსა და მეთოდებზე, რომლებიც ფართოდ გავრცელდა ომიანობის დროის ვითარებაში. ასეთი ფორმებია, მაგალითად, მშრომელთა შეხვედრა სამამულო ომის გმირებთან, ფრონტისა და ზურგის მიწერ-მოწერა და წითელი არმიის მებრძოლთა წერილების ხმამაღლა კითხვა, მწერალთა, მსახიობთა აგიტბრიგადების გამოსვლები და სხვ.

დადგენილია საწარმოებში კითხვა-პასუხის საღამოების ჩატარების პრაქტიკა, რაც თითქმის მივიწყებული იყო.

უფრო ფართოდ ჩაღდება თვალსაჩინო აგიტაცია — გამოფენები, ფოტო-ვიტრინები, პლაკატები და სხვ.

შეეხო რა პოლიტიკური აგიტაციის დარგში არსებულ ნაკლოვანებებზე, ამხ. თავაძემ აღნიშნა აგიტატორთა არადამაკმაყოფილებელი შერჩევის ფაქტები. ჯერ კიდევ მშრომელთა ყველა ფენები არ არიან მოცულნი პოლიტიკური აგიტაციით. ცალკეულ სოფლებსა და კოლმეურნეობებში საგიტაციო-მასობრივი მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ტარდება.

შეეხო რა პროპაგანდისტულ მუშაობას საქართველოს პარტორგანიზაციებში, ამხ. თავაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ომის დღეებში გაიზარდა მშრომელთა უფართოესი ფენების ინტერესი საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებისადმი, გაიზარდა მოთხოვნილება კვალიფიციურ ლექციებსა და მოხსენებებზე.

მარტო თბილისშია 45 ლექტორი, რომელთა შორის არიან აკადემიკოსები, პროფესორები, [illegible]

[illegible] ტორების გაგზავნის დადებით გამოცდილებაზე. ისინი არა მარტო დიდ საგიტაციო-მასობრივ მუშაობას ეწევიან, არამედ საკოლმეურნეო წარმოებაში სანიმუშო მუშაობის პირად მაგალითსაც იძლევიან. მაგრამ ჯერ კიდევ საჭიროა დიდი მუშაობის ჩატარება იმისათვის, რომ პოლიტიკურმა აგიტაციამ მშრომელთა ყველა ფენა მოიცვას.

მომხსენებელი განსაკუთრებით შეჩერდა ომიანობის დროის პირობებში სოფლად პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დაწესებულებების—კლუბებისა და ქოხ-სამკითხველოების როლსა და მნიშვნელობაზე.

ცალკეული ადგილობრივი პარტორგანიზაციები ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ამ დაწესებულებებისათვის კადრების შერჩევას.

შეეხო რა რესპუბლიკაში პარტიული პროპაგანდის მდგომარეობას, ამხ. კარაპეტიანმა აღნიშნა, რომ სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ მთელ რიგ ღონისძიებათა შედეგად გაუმჯობესდა ლექციების, მოხსენებების ხარისხი, პარტორგანიზაციები მეტ ყურადღებას უთმობენ ჩვენი კადრების პოლიტიკური თვითგანვითარებისადმი ხელმძღვანელობას.

პროპაგანდისა და აგიტაციის მუშაკთა დონის ასამაღლებლად სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან პერიოდულად იწვევენ სემინარები და თათბირები საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილების ერთიერთგასაზიარებლად.

• • •

დღეს თათბირი მუშაობას განაგრძობს.

საბჭოთა ახალგაზრდობის სრულიად-საკავშირო მიტინგი, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავისადმი.

18 ოქტომბერს მოსკოვში, კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა საბჭოთა ახალგაზრდობის მიტინგი, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავისადმი.

მიტინგი გახსნა საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნიკოლოზ მიხაილოვმა.

— დიადი დღესასწაულის წინ, — ამბობს ამხ. მიხაილოვი, — ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, [illegible]

[illegible] ეული ახალგაზრდა პარტიზანი ამ დღეებში 10-20 გერმანელს მოჰკლავს, — ჩვენ დავაჩქარებთ მტრის განადგურებას. თუ თითოეული ახალგაზრდა მუშა ამ დღეებში გეგმას გადაჭარბებით შეასრულებს და თავის წარმატებას შეინარჩუნებს, — ჩვენ მოვაახლოვებთ გამარჯვების ჟამს. თუ ყოველი ახალგაზრდა გუთნისდედა ამ დღეებში მზრალად მოხნავს 10 ჰექტარს გეგმის გადამეტებით, — ჩვენ ახალ დარტყმას ვაგემებთ მტერს. გერმანელ ფაშისტთა ბანდების განადგურების ამოცანა მძიმე და ძნელია. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია და ვალდებულიცა ვართ შე- [illegible]

[illegible] ვასრულოთ იგი რადაც უნდა დაგვიჯდეს!

სიტყვა ეძლევა გვარდიის ლეიტენანტს იური დოროშს. იგი დამსწრეთ გადასცემს სალამს გენერალ-მაიორ როდიმცევის გვარდიის დივიზიის მებრძოლებისა, მეთაურებისა და პოლიტმუშაკებისაგან, დივიზიისა, რომელიც სტალინგრადს იცავს.

„კრასნოე სორმოვოს" ქარხნის მუშა ანა დოკუკინა უამბობს სორმოველ მუშათა შრო- [illegible]

[illegible] ბრძოლი მხედართმთავრის პატივსაცემად გამართული აღფრთოვანებული ოვაციით შეკრებილნი უგზავნიან წერილს ამხანაგ სტალინს.

მიტინგზე მიღებულ იქნა მიმართვა საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობისადმი.

დასასრულ მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნა სტალინგრადის დამცველებს, ჩრდილოეთ კავკასიისა და ამიერ-კავკასიის ახალგაზრდობას, ლენინის ქალაქის კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას.

მიტინგი გადაცემული იყო რადიოთი. (საკ. დესი).

გეგმის შესრულება

საჩხერის რაიონმა აბრეშუმის პარკის 1942 წლის დამზადების გეგმა 101,2 პროცენტით შეასრულა. დამზადება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) საჩხერის რაიკომის მდივანი ქარჩხაძე
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მოდებაძე

დავიცვათ უსასტიკესი ეკონომია, დავზოგოთ ნედლეული, სათბობი, ელექტროენერგია!

დიდი ოქტომბრის XXV წლისთავისათვის შევქმნით ნედლი მასალის ერთი თვის მარაგს

ჩვენმა საამქრომ დიდი მუშაობა გაჩაღა მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ დაცვისათვის. ამ საკითხზე სპეციალური საუბარი ჩავატარე. მუშებმა ბევრი საქმიანი წინადადება წამოაყენეს. კომუნისტმა ზეინკალმა ქ. ზარდალიძემ ელექტროენერგიის მომჭირნეობაზე ილაპარაკა. გამოირკვა, რომ ჩვენ შეგვეძლო ამ საქმეში ეკონომიის გაწევა. მართლაც, სინათლის 5 წერტი მოვხსენით ისე, რომ ამით საქმე არ დაბრკოლებულა, რამაც უეჭველად ენერგიის ეკონომია მოგვცა.

მნიშვნელოვანი დანაზოგი გვაქვს ნედლი მასალის ხარჯვაში. ჩვენი საამქრო თითქმის მთლიანად შინარესურსების გამოყენებაზე გადავიდა. ძველ, ხმარებიდან გამოსულ იარაღებს ხელმეორედ ვამუშავებთ და ამით ვაღწევთ დეფიციტური ლითონის ეკონომიას. ამ რამდენიმე დღის წინათ ჩვენმა საამქრომ ნედლეული მიიღო, მაგრამ იგი ჯერჯერობით ხელუხლებლად გვაქვს შენახული და შინარესურსებს ვიყენებთ. ამასთანავე ქარხნის მოთხოვნილებას მთლიანად ვაკმაყოფილებთ.

მომჭირნეობის რეჟიმის გატარებაში დიდად გვეხმარებიან გამომგონებლები და რაციონალიზატორები. ამას წინათ კომუნისტმა ზეინკალმა მ. კანტერიამ, რომელიც გეგმას 400-430 პროცენტით ასრულებს, შემოიტანა წინადადება ერთ-ერთი შტამპი, რომლის გასაკეთებლად ძვირფასი ლითონი იხარჯებოდა, შინარესურსებით დაგვემზადებინა. ამ წინადადების გატარებამ ლითონის მნიშვნელოვანი ეკონომია მოგვცა. ჩემს მიერ შეტანილ წინადადებათა განხორციელებით ერთ-ერთი დეტალის თვითღირებულება 5-ჯერ შემცირდა, ხოლო მეორესი — დაახლოებით 22-ჯერ.

ჩვენი საამქროს მუშები თავდადებით შრომობენ და წარმატებით ანაღდებენ წინასაოქტომბრო შეჯიბრებით აღებულ ვალდებულებებს. არ არის ისეთი მუშა, რომელიც გეგმას 110 პროცენტზე ნაკლებად ასრულებდეს. თვით საამქრო ყოველთვის დიდი გადაჭარბებით ანაღდებს დავალებებს. სექტემბრის გეგმა 180 პროცენტით შევასრულეთ.

ჩვენი საამქრო იბრძვის იმისათვის, რომ შეინარჩუნოს მიღწეული წარმატება, შინარესურსების უფრო ფართოდ გამოყენებით, რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელებით, ნედლეულისა და ელექტროენერგიის ეკონომიით ოქტომბრის რევოლუციის XXV წლისთავისათვის შექმნას ნედლეულის ერთი თვის მარაგი. ამას უეჭველად მივაღწევთ, მით უმეტეს, რომ დღეისთვისაც უკვე მოგვეპოვება ეკონომიის ხარჯზე ნედლეულის განსაზღვრული მარაგი.

ლ. ალანაკიანი

თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის საიარაღო საამქროს უფროსი.

ფრონტს მივცეთ პროდუქცია გეგმის გადამეტებით

ჩვენი ქარხნის მთელმა კოლექტივმა და კერძოდ სარემონტო საამქრომ უკანასკნელ ხანებში დიდი მუშაობა ჩაატარა შინაგანი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებისათვის, ნედლეულის, სათბობისა და ელექტროენერგიის ეკონომიით ხარჯვის საქმეში.

საამქროში ერთ-ერთ სახარატო დაზგას მოვუწყვეთ სათადარიგო სუპორტი (ბრჯენი) და ფუტი. თუ წინათ დაზგის შესაკეთებლად საჭირო იყო 23 საათი, ამ ახალი ღონისძიების გატარების შემდეგ საამქროს მუშაკებმა დაზგა ნახევარ საათში შეაკეთეს, ისიც შესვენების დროს. ამრიგად, მუშაობის პერიოდში დაზგას არ დაუკარგავს არც ერთი წუთი და 23 საათის განმავლობაში გეგმის გადამეტებით ფრონტისათვის ამზადებდა უმნიშვნელოვანეს დეტალს. ასეთივე ღონისძიებები გავატარეთ სხვა დაზგების შეკეთების დროსაც, რამაც წარმოებას დიდი ეკონომია მისცა.

სარანდავი დაზგის „შეპინგის" შეკეთებაზე უნდა დახარჯულიყო 52 სამუშაო საათი. მე და ტექნიკოსმა შვირევმა წინდაწინვე დავამზადეთ საჭირო ნაწილები და რთული რემონტი 32 საათში შევასრულეთ. ასეთივე საშუალებით გაადიდეს სარემონტო საამქროს სხვა დაზგებმაც სადაზგო დროის ბალანსი №№ 291, 1534 და 1547 დაზგებზე.

9 თვის განმავლობაში ქარხნის ყველა მოწყობილობათა შესაკეთებლად გეგმით გათვალისწინებული იყო 6.383 საათი, ჩვენ კი ფაქტიურად დავხარჯეთ 4.241 სამუშაო საათი. ამრიგად, გავწიეთ 2.142 სამუშაო საათის ეკონომია და ფრონტს მივეცით უფრო მეტი პროდუქცია, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. გარდა ამისა, საკმაო რაოდენობით დავზოგეთ სათბობი და ელექტროენერგია.

ჩვენს საამქროში შექმნილია სათადარიგო ნაწილების მარაგი, რომელთა რაციონალურად გამოყენება საშუალებას იძლევა სწრაფად და შეუფერხებლად იმუშაონ დაზგებმა. ჩვენივე საამქროს მოწინავე მუშაკების ინიციატივით, ქარხანაში შექმნილია მორიგე ზეინკლების ჯგუფი, რომელიც დახმარებას უწევს და ხელმძღვანელობს ახალ მუშებს დავალებათა შესრულებაში, ასწავლის მათ მოწყობილობათა და ხელსაწყოთა წესიერად გამოყენებას, აფრთხილებს შესაძლებელი ავარიებისაგან და სხვ.

ჩემს საამქროში არ არის არც ერთი მუშა, რომელიც ნორმას არ ასრულებდეს. სტახანოველი ზეინკალი ნ. ფირიაშვილი თვიურ გეგმას სისტემატურად 150-160 პროცენტით ასრულებს, ხარატი ა. ჯანელიძე—160 პროცენტით, ბრიგადირი ზეინკალი და ქარხნის რაციონალიზატორი ნ. სტაროვი—200 პროცენტით.

ჩვენ ჩაბმული ვართ წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში. საამქროს მთელი კოლექტივი თავდადებულად იბრძვის, რათა პირველობა მოიპოვოს მთელ ქარხანაში და სახელოვნად შეხვდეს დიდი ოქტომბრის XXV წლისთავს არა მარტო იმით, რომ გეგმას გადაჭარბებით შეასრულებს, არამედ ნედლეულის, სათბობისა და ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი ეკონომიითაც.

ვ. კაპანაძე

თბილისის რადიოტელეგრაფის ქარხნის სარემონტო საამქროს უფროსი.

იბრძვიან ტყავეულობის ეკონომიისათვის

სტალინის სახელობის თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკაში საგამომჭრელო საამქროს მუშები იბრძვიან იმისათვის, რომ კიდევ უფრო გააუმჯობესონ ტყავების გამოჭრის მეთოდები და ტექნიკა, სავსებით აღმოფხვრან ნარჩენები ტყავების გამოჭრისას და დაზოგონ რაც შეიძლება მეტი საპირე და საძირე ტყავი.

უკანასკნელი ორი დეკადის განმავლობაში მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ კომუნისტი-სტახანოველები ამხ. ს. მარქაროვი, მ. ყაზარიანი, თ. ლევი, ნ. ნერსესიანი, კომკავშირელი ვ. ჯაშიევი და სხვ.

ამხ. ს. მარქაროვმა მარტო სექტემბრის განმავლობაში გამოჭრის ტექნიკის გაუმჯობესების საშუალებით დაზოგა 1.526 დეციმეტრი საპირე ტყავი. ამხ. მ. ყაზარიანმა ტყავეულობის გამოჭრაში საფაბრიკო რეკორდი დაამყარა და 2.978 დეციმეტრი ტყავი დაზოგა. კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს დანარჩენმა სტახანოველებმაც.

საგამომჭრელო საამქროს ამ მოწინავე მუშების მოფიქრებულმა ბრძოლამ ტყავის ეკონომიისათვის ხელი შეუწყო მთლიანად ფაბრიკის კოლექტივს — გადაჭარბებით შეესრულებინა საწარმოო დავალებები.

დამხმარე მასალების (ლურსმანი, ზრეში, ნემსები, დანები, ხის ლურსმანი, ძაფი და სხვ.) მომჭირნეობისა და ადგილობრივი რესურსების ფართოდ გამოყენების მხრივ ფაბრიკას მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს. ამჟამად ფაბრიკაში ფართოდ არის გაშლილი ბრძოლა იმისათვის, რომ მიაღწიონ დამხმარე მასალების ეკონომიას, რადგან ამას ახლა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ზოგავენ ნედლეულსა და ელექტროენერგიას

თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკა (დირექტორი ამხ. გაბუნია) მომჭირნეობით ხარჯავს ნედლეულსა და ელექტროენერგიას. გასულ თვეს ფაბრიკის მუშაკებმა 124 მეტრი ქსოვილი, 100 კილოვატსაათი ელექტროენერგია და დიდძალი დამხმარე მასალა დაზოგეს. გარდა ამისა, ადგილობრივი რესურსების ხარჯზე 6.300 მანეთით შეამცირეს სხვადასხვა ხარჯები.

თარგის ზუსტად და მჭიდროდ ჩაწყობით გამომჭრელები ა. გაბრიელიანი, მ. ხორხოშელიძე და ვ. მნაცაკანოვი აღწევენ იმას, რომ მცირედი ნაჭერიც არ დაიკარგოს გამოჭრის დროს.

მნიშვნელოვანი დანაზოგი აქვთ მკერავებსაც. მაგალითად, ნარჩენების გამოყენებით ა. ავაკიმოვმა შესძლო გასულ თვეს 7 მეტრი სასარჩულე ტილო დაეზოგა. მკერავმა ოლია ბადრიძემ დაზოგა 8 მეტრი ტილო, ტერ-მკრტიჩიანმა — 150 მეტრი ბამბიანი სარჩული და სხვ.

წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული № 6 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი, რომელმაც მიმდინარე წლის საწარმოო დავალება ნაცვლად ვალდებულებით აღებულ 5 ოქტომბრისა 28 სექტემბერს მთლიანად შეასრულა, ერთსულოვნად იბრძვის ნედლეულისა და დამხმარე მასალების ეკონომიით, ახალ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებით სახელოვნად აღნიშნოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავი.

პარტიული ცხოვრება

ბოლშევიკური სიტყვა მასებში

ქალაქ ქუთაისში ამჟამად საგიტაციო მუშაობას 900-მდე აგიტატორი და წამკითხველ-მოსაუბრე ეწევა. ქალაქში არსებობს 66 აგიტკოლექტივი და 25 აგიტპუნქტი.

პარტიის საქალაქო კომიტეტი სისტემატურად იხილავს აგიტკოლექტივების და აგიტპუნქტების მუშაობის საკითხს, აძლევს მათ სათანადო მითითებებს ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში.

სამამულო ომის მოთხოვნის შესაბამისად გარდაქმნეს მუშაობა რიონჰესის, ლიტოპონის და მიქოიანის სახელობის საკონსერვო ქარხნის აგიტკოლექტივებმა, ხოლო მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მუშაობა რკინიგზის დეპოს, ბაქრაძის სახელობის აბრეშუმის კომბინატის, ფაბრიკა „მქერავის" აგიტატორებმა.

ლიტოპონის ქარხანაში კარგად მუშაობს ბორიუმის საამქროს ცვლის უფროსი აგიტატორი სერგი ესებუა. ატარებს რა ყოველდღიურ აგიტაციას, ამხ. ესებუა მსმენელთა ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე საწარმოო საკითხებზე, ყოველდღიური დავალების შესრულებაზე და სტახანოველთა რიგების ზრდაზე.

ქარხანაში ყოველდღიურად ეწევიან მიმზიდველ აგიტაციას აგრეთვე აგიტატორები ამხ. ბაბუნაიშვილი, სადუნიშვილი, ეზიკაშვილი და სხვ.

მიქოიანის სახელობის საკონსერვო ქარხანაში აგიტატორად გამოყოფილი არიან ქარხნის საამქროს უფროსები—ხელმძღვანელი პარტსამეურნეო მუშაკები. კარგად ასრულებენ ამ მნიშვნელოვან პარტიულ დავალებას ქეთევან პეიშვილი (მთ. საამქროს უფროსის მოადგილე), ანტონინა ბუილიშვილი (ლაბორატორიის გამგე), კარპეზ კილაძე (ქიმიკოსი-ინჟინერი) და სხვ.

აგიტატორების ინიციატივით მოეწყო ახლად მოსული მუშების გადამზადება, ჩატარდა სანიტარული კვირეული და სხვ.

კარგად მუშაობენ სამკერვალო ფაბრიკის აგიტატორები ლიდა მიქაძე და ქსენია ბაქრაძე.

ამხ. მიქაძე № 9 ბრიგადაში მუშაობს. წინათ ეს ბრიგადა ჩამორჩებოდა გეგმების შესრულებაში. ადგილი ჰქონდა დაგვიანება-გაცდენებს. ლიდა მიქაძე ყოფილი დიასახლისია, საწარმოში სამამულო ომის პირობებში მოსული. მან სწრაფად აითვისა კერვის ხელობა. გაზაფხულზე, როდესაც გაჩაღდა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება, მან პირველმა ჩააბა თავისი ბრიგადის წევრები შეჯიბრებაში და, მიუხედავად იმისა, რომ ბრიგადაში მას მუშა-ხელი აკლია, ბრიგადის თითოეული წევრი გადაჭარბებით ასრულებს დღიურ ნორმას. მიქაძის ინიციატივით ახლად მოსული 23 დიასახლისი ქალი ჩაბმულ იქნა ტექწრეებში. სექტემბრის პირველ ნახევარში მის ბრიგადას გეგმა შესრულებული აქვს 160 პროცენტით.

ამავე ფაბრიკაში მოწინავე აგიტატორებმა, სტახანოველებმა ქსენია ბაქრაძემ და მაღლაკელიძემ სურვილი გამოთქვეს წასულიყვნენ სოფლად მოსავლის დამუშავება-აღების პერიოდში, რათა გაეწიათ ბოლშევიკური აგიტაცია კოლმეურნეობებში. ამხ. ქსენია ბაქრაძე მუშაობს წულუკიძის რაიონში, მიმაგრებულია ორ კოლმეურნეობაზე, ეწევა ცხოველ აგიტაციას ფიზიკურ შრომასთან ერთად და წულუკიძის რაიონის ხელმძღვანელობა კმაყოფილია მისი მუშაობით.

მრავალი პატრიოტი აგიტატორი მუშაობს ქალაქის ფართო მოსახლეობაში. მაგალითად, ლენინის სახელობის აგიტპუნქტის აგიტატორი, მე-4 სკოლის პედაგოგი ნინო შოთაძე მოსახლეობაში კარგი ავტორიტეტით სარგებლობს. ამხ. შოთაძემ დიდი დახმარება გაუწია წითელარმიელთა ოჯახებს, შეისწავლა მათი საჭიროება და დაეხმარა ქალაქის ხელმძღვანელ ორგანოებში ზოგიერთი საკითხების მოგვარებით. აგიტატორმა შეაგროვა მსმენელებში თბილი ტანსაცმლისა და საოქტომბრო საჩუქრების ფული 600 მანეთის რაოდენობით.

აგიტატორი-მასწავლებელი ნინო გვეტაძე ხშირად აწყობს დიასახლისი ქალების დასწრებას კინოში და თეატრში (ნახეს „გიორგი საკაძე", „ინჟინერი სერგეევი", „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ").

დიდი როლი დაეკისრათ საქალაქო აგიტპუნქტებს პროპაგანდისტთა და აგიტატორთა დახმარების საქმეში. საქალაქო აგიტპუნქტი საჭირო დახმარებას უწევს ადგილზე არსებულ აგიტპუნქტებს და აგიტკოლექტივებს პლაკატების, ლოზუნგებისა და სამამულო ომის თემაზე გამოცემულ ბროშურების მიწოდებით, აგრეთვე კონსულტაციებისა და ლექციების ჩატარებით. საქალაქო აგიტპუნქტთან შემოკრებილია შტატგარეშე 11 პროპაგანდისტი, რომლებიც ატარებენ ლექციებს ქალაქკომის მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით.

წარმატებებთან ერთად ჯერ კიდევ მრავალი ნაკლია აგიტატორებისა და აგიტპუნქტების მუშაობაში: ზოგიერთი აგიტატორი არ ემზადება და ცოცხალ, დამაჯერებელ აგიტაციას სცვლის მშრალი საუბრით, საკმაოდ არ იყენებს თვალსაჩინოებას და სხვ.

ტრიკოტაჟის ფაბრიკაში აგიტატორი თამარ რიჟინაშვილი აგიტაციას ეწევა, მაგრამ საგიტაციო საქმიანობას ვერ უკავშირებს თავისი საწარმოს ყოველდღიურ მუშაობას, გეგმების შესრულებისათვის ბრძოლას.

აბრეშუმის კომბინატში აგიტატორმა გალინა ჯიბაძემ საგიტსაუბრო „ოსტატის როლის შესახებ წარმოებაში" მოუმზადებლად ჩაატარა. არ დაუკავშირა ადგილობრივი ფაქტები, რომ მის ცვლაში ოსტატი ილია ძოძუაშვილი არ ასრულებს თავის მოვალეობას და ცუდად ეპყრობა მუშებს.

არიან აგიტატორები, რომლებიც გაზეთის წაკითხვით კმაყოფილდებიან, მსმენელებს არ აძლევენ საჭირო ახსნა-განმარტებას, არ იყენებენ თვალსაჩინოებას და სხვ. ქალაქის საბინაო სამმართველოში აგიტატორად გამოყოფილია სამმართველოს უფროსი — ინჟინერი ნ. ალხაზაშვილი, რომელიც უდარდელ დამოკიდებულებას იჩენს აგიტაციისადმი. ურიცკის აგიტპუნქტის ხელმძღვანელმა, პარტწევრმა ვლადიმერ დარჩიამ ჩაშალა აგიტმასობრივი მუშაობა უბანში, რაზედაც სათანადო სასჯელი დაედო.

ქალაქკომმა სერიოზული ღონისძიებები ჩაატარა ქალაქში ფოტო-ვიტრინების, აგიტ-პლაკატების და სხვა მასალათა გამოსაკრავად. მოწყობილია 17 საგაზეთო ვიტრინა, ერთი დიდი ფოტო-ვიტრინა და საქდესის ფანჯარა სამ ადგილზე. გარდა ამისა, მოეწყო გამოფენები ისტორიულ თემებზე და მიმდინარე სამამულო ომის თემაზე კულტურის სახლში, საჯარო ბიბლიოთეკაში, ქალაქის სოუზნო [illegible] და საქალაქო აგიტპუნქტში. შემდეგში ფოტო-ვიტრინათა რაოდენობა კიდევ უფრო გადიდებული იქნება.

ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დაუღალავად ვიმუშაოთ ზურგში, ბოლშევიკური პროპაგანდით კიდევ უფრო გავაძლიეროთ მოსახლეობაში რევოლუციური სიფხიზლე, მტრისადმი სიძულვილი და მთელი ხალხის ყურადღება გავამახვილოთ ფრონტის დასახმარებლად, დავაჩქაროთ ჰიტლერელი არამზადების მოსპობა-განადგურება.

ვ. ლალიაშვილი

საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის ქალაქკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

აგიტაცია მისაწერ პუნქტზე

თბილისის ლენინის რაიონის სამხედრო კომისარიატში წარმატებით მიმდინარეობს 1925 წელში დაბადებულთა მიწერა. წვევამდელებს სათანადო მომსახურებას უწევს აგიტპუნქტი. იგი სანიმუშოდ არის მოწყობილი, მორთულია პორტრეტებით, სამამულო ომთან დაკავშირებული ლოზუნგებით და პლაკატებით. აგიტპუნქტში წვევამდელებისათვის ყოველდღიურად ტარდება აგიტაცია ქართულ და რუსულ ენებზე. აგიტპუნქტთან მოწყობილია ბიბლიოთეკა, სადაც წვევამდელები დიდი ხალისით კითხულობენ ბროშურებს და ჟურნალ-გაზეთებს სამამულო ომის საკითხებზე. ბიბლიოთეკას ყოველდღე 20-მდე მკითხველი-წვევამდელი ჰყავს. მიწერის დაწყების მეორე დღეს გამოშვებულ იქნა კედლის გაზეთი „სამშობლოსათვის", რომელშიც მოთავსებული წერილები უმთავრესად წვევამდელებს ეკუთვნით. 26 კომისრის სახელობის ქარხნის ზეინკალი, წვევამდელი მიშა დავიდოვი სწერს: „მე დიდი ხალისით გამოვცხადდი აქ. ვიცი, რომ დღეიდან წითელი არმიის რეზერვად ვითვლები. მე დღემდე ვოცნებობდი, თუ როდის მომეცემა სამშობლო იარაღს ხელში, რომ ვერაგ მტერს გმირულად შევებრძოლო. ჩემს ყოველდღიურ მუშაობას სამამულო ომის ინტერესებს ვუკავშირებ, წითელ არმიაში გაწვევის შემდეგ კი თავდადებით ვიბრძოლებ სამშობლოს დასაცავად".

ასეთივე შინაარსის წერილებს სწერენ წვევამდელები ამხ. შიშკინი, ოგანეზოვი და სხვები.

აგიტპუნქტში გამოკრულია საუბრების ჩატარების კალენდარული გეგმა, დამტკიცებული საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ლენინის რაიკომის მიერ.

აგიტპუნქტის გვერდით მოწყობილია სამხედრო კუთხე, სადაც წვევამდელებს ასწავლიან სამხედრო საქმეს, მოწყობილია აგრეთვე წითელი ჯვრის კუთხე და სხვ.

აგიტპუნქტში ტარდება მოხსენებები ისტორიულ თემებზე, მაგალითად, 18 ოქტომბერს ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილების ლექტორმა ამხ. ლაბაძემ ჩაატარა მოხსენება თემაზე: „1812 წ. სამამულო ომი", რომელსაც 70 კაცი დაესწრო. აგიტპუნქტს საჭირო დახმარებას უწევს პარტიის რაიონული კომიტეტი.

ვლ. გაგუა

ჰოლანდიელი ხალხის მწვავე სიძულვილი ჰიტლერელ დამპყრობთადმი

ლონდონი, 19 ოქტომბერი (საქდესი). ჰიტლერელი საოკუპაციო ხელისუფალნი ჰოლანდიაში განაგრძობენ ჰოლანდიელი მუშების ძალდატანებით „შეგროვებას" გერმანიის საწარმოებში სამუშაოდ. როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ჰიტლერელებს განზრახული აქვთ ჰოლანდიიდან წაიყვანონ ნახევარი მილიონი მუშა. გაზეთი „ტაიმსი" იუწყება, რომ წარსულ თვეში 30.000 მელითონე წაიყვანეს. ჰიტლერელები ხელოვნურ უმუშევრობას ჰქმნიან ჰოლანდიის მთელ რიგ საწარმოთა დახურვით. ჰიტლერელები ამას უწოდებენ „რაციონალიზაციას", რაც მალე 150.000 მუშას შეეხება.

მაგრამ არც ერთ ჰოლანდიელს არა სურს იმუშაოს თავისი დამმონებლებისათვის, და ჰიტლერული „შემგროვებელი ბიუროები" ცარიელია. საოკუპაციო ხელისუფალნი აშკარა ძალდატანებითს ღონისძიებებს მიმართავენ. ეს კიდევ უფრო აძლიერებს ჰოლანდიელი ხალხის მწვავე სიძულვილს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთადმი. ამ სიძულვილს ის ფაქტი მოწმობს, რომ ეგრეთწოდებული „მოხალისეთა ლეგიონის" წევრებს, რომლებიც ფრონტზე გაემგზავრნენ სსრ კავშირის წინააღმდეგ, საყოველთაო სიძულვილით და ზიზღით ეპყრობიან ჰოლანდიაში. ამ „მოხალისეებს" ჩამოშორდნენ არა მარტო მათი ნაცნობები, არამედ მათი ოჯახებიც. გაზეთი „ალგემეენ ჰანდელსბლადი" სწერს: „მოხალისეთა მნიშვნელოვანმა რიცხვმა ყოველგვარი კავშირი დაჰკარგა ნათესავებთან მას შემდეგ, რაც მათ თავს იდეს წასულიყვნენ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. ამიტომ ახლა ისინი მძიმე მდგომარეობაში არიან, ოჯახი დაჰკარგეს და სჩივიან იმის გამო, რომ შეუძლებელია შებრუნება გაატარონ სამშობლოში".

ჰოლანდიის სოფლებსა და ქალაქებში ყველას, ვინც კი ფაშისტური ნიშნით გამოჩნდება, გამვლელნი თავს ესხმიან და შეურაცხყოფას აყენებენ.

ბრძოლები იუგოსლავიაში

ჟენევა, 19 ოქტომბერი (საქდესი). იუგოსლავიიდან იუწყებიან, რომ იუგოსლაველი პარტიზანები განაგრძობენ ბრძოლებს იტალიისა და გერმანიის ჯარებთან, რომლებიც რამდენიმე რაიონში შეტევაზე გადავიდნენ. ოკუპანტები ავიაციას, არტილერიასა და ჯავშანსატანკო ნაწილებს იყენებენ. რაიონების უმრავლესობაში პარტიზანები დღემდე ახერხებენ მოწინააღმდეგის შეტევის შეკავებას. მხოლოდ პროზორის სექტორში გააფთრებული ბრძოლების შემდეგ პარტიზანები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ.

ტერორის გაძლიერება იუგოსლავიაში

სტამბოლი, 19 ოქტომბერი (საქდესი). ბელგრადიდან იუწყებიან, რომ ოკუპირებულ იუგოსლავიაში კვლავ გაძლიერდა მასობრივი ტერორი. 10 ოქტომბერს ღამით ჰიტლერელებმა ბელგრადში ასობით კაცი დააპატიმრეს.

იუგოსლავიაში პარტიზანული მოძრაობის ზრდასთან დაკავშირებით ჰიტლერული და ნედიჩური პრესა ამ უკანასკნელ ხანს მოითხოვს ხალხის წინააღმდეგ რეპრესიების გაძლიერებას.

ჰიტლერელებმა გამოსცეს ახალი ბრძანება, რომლის ძალით იმ პირთ, რომლებსაც დაბრალდებათ განზრახ ცეცხლის წაკიდება, სახელმწიფო ქონებისათვის ზიანის მიყენება, ოკუპანტების მოკვლა და სხვა მსგავსი მოქმედება, განსაკუთრებული ტრიბუნალის სამართალში მისცემენ. ამ ტრიბუნალს გამოაქვს მხოლოდ სასიკვდილო განაჩენი, რის გასაჩივრებაც არ შეიძლება.

უკმაყოფილების ზრდა რუმინეთში

სტამბოლი, 19 ოქტომბერი (საქდესი). რუმინელი ხელისუფალნი სასწრაფო ზომებს იღებენ ყოველგვარი ანტიგერმანული და მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლების ჩასახშობად. გაზეთი „უნივერსული" იუწყება, რომ ანტონესკუმ უფლება მიანიჭა ოლქის პრეფექტებს დამოუკიდებლად მიიღონ ყოველგვარი რეპრესიული ზომები მოსახლეობის სულ უფრო მზარდი უკმაყოფილების ჩასახშობად და საბოტაჟთან საბრძოლველად.

გაზეთი „არგუსი" ცდილობს გაამართლოს ანტონესკუს ახალი დრაკონული ღონისძიებანი და სწერს, რომ „ომი, რომელმაც ძნელი და გაჭიანურებული ხასიათი მიიღო, აძლიერებს მოსახლეობის გაღიზიანებას. ამის შედეგად იქმნება მასობრივი სპეციფიკური ფსიქოზი, რომლის ასალაგმავადაც საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება". აღნიშნავს რა, რომ „ბევრს არა აქვს გამარჯვების რწმენა", გაზეთი ყველა რუმინელისაგან მოითხოვს „იმუშაონ ულაპარაკოდ, უჩურჩულოდ და გამომწვევი ყოფაქცევის გარეშე".

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხარჯები

ვაშინგტონი, 18 ოქტომბერი (საქდესი). რუზველტმა თავის მიმართვაში კონგრესისადმი აღნიშნა, რომ მიმდინარე საბიუჯეტო წელს, რომელიც 1943 წლის 30 ივნისს მთავრდება, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხარჯები შეადგენს 74.000.000.000 დოლარს, ესე იგი თავდაპირველად ნავარაუდევ ასიგნობებზე 15.000.000.000 დოლარით მეტს.

რუზველტის ცნობებით, მთავრობამ მიაღწია არასამხედრო ხარჯების მნიშვნელოვნად შემცირებას. ეს ხარჯები შეადგენს სულ 4.194.000.000 დოლარს, შარშანდელზე დაახლოებით 1.000.000.000 დოლარით ნაკლებს.

მუშათა მასობრივი დაპატიმრება ოსლოში

ლონდონი, 18 ოქტომბერი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ოსლოში დააპატიმრეს რამდენიმე ასეული მუშა. მათ ბრალდებათ საბოტაჟის ახალი აქტების მოხდენა ქალაქის მიდამოებში.

იტალიელი მუშები ჰიტლერულ კატორღაში

ლონდონი, 18 ოქტომბერი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, უკმაყოფილება იმ იტალიელ მუშებს შორის, რომლებიც იძულებით არიან გაგზავნილნი სამუშაოდ გერმანიის სამხედრო მრეწველობაში, იმდენად გაძლიერდა, რომ ბერლინში უკვე აღარ ცდილობენ დაფარონ საქმის ნამდვილი ვითარება. ოფიციალური ყოველკვირეული გაზეთი „ილ კამერატა", რომელიც ბერლინში გამოდის იტალიურ ენაზე, გულახდილად ჩივის, რომ იტალიელი მუშები უამრავ მოთხოვნას აყენებენ სამუშაო ადგილის გამოცვლის შესახებ. ასეთი მოთხოვნა განსაკუთრებით ბევრია დასავლეთ და ჩრდილოეთ გერმანიაში, სადაც, გაზეთის სიტყვით, იტალიელები „სხვებზე მეტად განიცდიან საჰაერო თავდასხმებთან დაკავშირებულ საშიშროებას".

ამ ბოლო დროს დასავლეთ გერმანიაში დააპატიმრეს რამდენიმე ასეული იტალიელი, რომლებიც, როგორც ოფიციალურად იუწყებიან, „კომუნისტურ ტენდენციებს" იჩენდნენ. გერმანიიდან გამოქცეული იტალიელი მუშები აცხადებენ, რომ მათ ისე ეპყრობოდნენ, როგორც პირუტყვს, და რომ გერმანიაში ცხოვრება „ომზე უარესია".

ომი წყნარ ოკეანეში

ნიუ-იორკი, 20 ოქტომბერი (საქდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ამერიკის საომარმა გემებმა გვადალკანარის კუნძულის ჩრდილო-დასავლეთით დაბომბეს იაპონიის საზღვაო ძალთა დიდი შენაერთი. იაპონიის გემებზე დიდი ხანძრები გაჩნდა. მოკავშირეთა მძიმე ბომბდამშენები ხელს უწყობდნენ ამერიკის საომარი გემების ოპერაციებს სოლომონის კუნძულებზე და არაერთგზის დაბომბეს იაპონიის საომარი გემებისა და ტრანსპორტების ძლიერი შენაერთები შორტლენდის კუნძულის რაიონში. მოკავშირეთა ავიაციამ მოსპო იაპონელთა 33 თვითმფრინავი რეკატის ყურის რაიონში.

ერთდროული თამაშის სეანსი ჭადრაკში

18 ოქტომბერს, წითელი არმიის ოლქო სახლში, გროსმაისტერმა ს. ფლორმა გამართა ერთდროული თამაშის სეანსი ჭადრაკში. წითელი არმიის თბილისის გარნიზონის ნაწილთა მებრძოლნი და მეთაურები, აგრეთვე ქალაქის მოსწავლენი 40 დაფაზე 4 საათის განმავლობაში ეთამაშებოდნენ გროსმაისტერს.

ს. ფლორმა წააგო 5 პარტია—პედინსტიტუტის სტუდენტ ვ. ჟივოტოვსკაიასთან, ტ. აბრამიშვილთან, მოწაფე გ. დვალიანიძესთან და მ. პაიჭაძესთან და რკინიგზის ტექნიკუმის სტუდენტ ს. გოლუბევასთან. ორი პარტია მოწაფე ზ. ჩაჩუასა და გ. არმშტეინთან—მან ფრედ დაამთავრა. (საქდესი).

ცირკის სეზონის გახსნისათვის

22 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო ცირკი იწყებს საზამთრო სეზონს. სეზონი გაიხსნება პროლოგით სამამულო ომის თემაზე. პროლოგის ტექსტი დაწერილია კოჩეტოვისა და მიხაილოვის მიერ, დამდგმელია ნ. შესტოვი.

თბილისის ცირკი პირველ პროგრამაში მაყურებელს უჩვენებს შემდეგ ნომრებს: ვოლნიცკი (ფრენა ჰაერში), კაზანცევი (ეკვილიბრისტი), ზოლოტარევი (ჟონგლიორი), კუდელაროვა (ჯამბაზი), ლევანდოვსკი (წონასწორობა ბამბუკზე), ლავროვი (მუსიკალური კლოუნი), კასიანენკო და მანუელი (კრაფტ-აკრობატები), ნიკოლსი (ძაღლების მწვრთნელი), კასტელო (ილუზია), უსულოვები (ვერში).

მეორე პროგრამისათვის ცირკის დირექცია ამზადებს აღმოსავლურ საკრავთა (დუდუკი) ჯაზ-ანსამბლს.

ცირკში წარმოდგენები დაიწყება საღამოს 7 საათზე.

თეატრებში

22 ოქტომბერს: საოპერო — „ჰოფმანის ზღაპრები". რუსთაველის სახელობის — „კოქვიძე". მარჯანიშვილის სახელობის — „ხანუმა". გრიბოედოვის სახელობის — „ინჟინერი სერგეევი". სომხური თეატრი — „კინტო". ახუნდოვის სახელობის — „ასლი და ქერემ". მუსიკალური კომედიის — „როზ-მარი". ხანკულტურის — „პირისპირ". მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი — „რომეო და ჯულიეტა". მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი — „სახლი გორაკზე". მოზარდ მაყურებელთა სომხური თეატრი—„ემანუელ".

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — „საბრძოლო კინოკრებული № 11". ოქტომბერი — „კარზინკინის თავგადასავალი". დამკვრელი — „ტორჟოკელი თერძი". კომკავშირელი და სპარტაკი — „ლენინგრადი ბრძოლაში". ლუქსემბურგის სახ. — „ცირკი". 26 კომ. სახ. — „ალექსანდრე პარხომენკო". კომინტერნი — „მეგობრები".

ავსტრალიელი ხალხი მიესალმება ავსტრალიასა და სსრ კავშირს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას

სიდნეი, 20 ოქტომბერი (საქდესი). მელბურნში გაიმართა დიდი მიტინგი 4.000 კაცის მონაწილეობით. მიტინგი მიესალმა სსრ კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას.

სიდნეიში გამართულ მიტინგზე 5.000 კაცის მონაწილეობით მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელშიც გამოთქმულია რწმენა, რომ ავსტრალიასა და სსრ კავშირს შორის დიპლომატიური წარმომადგენლების გაცვლა „ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის ურთიერთ სარგებლობას და ანტიფაშისტური ფრონტის განმტკიცებას".

შეტაკებები უნგრეთის მოსახლეობასა და გერმანელებს შორის

ჟენევა, 20 ოქტომბერი (საქდესი). ბუდაპეშტიდან გადმოგვცემენ, რომ მას შემდეგ, რაც ვიცე-რეგენტი იშტვან ჰორტი დაიღუპა, უნგრეთში მრავალი ანტიგერმანული გამოსვლა მოხდა.

გერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრებისადმი უნგრეთის მოსახლეობის ზრდად მტრობასთან დაკავშირებით, ბუდაპეშტის სამხედრო კომენდატურამ ბრძანება გამოსცა, რომ გერმანელ სამხედრო მსახურთ მხოლოდ ჯგუფ-ჯგუფად შეუძლიათ ქუჩაში გამოსვლა.

ბუდაპეშტის ერთ-ერთ უდიდეს კაფეში მოხდა შეტაკება გერმანელ და უნგრელ ოფიცერთა შორის.

3 ოქტომბერს ბუდაპეშტში სასურსათო მაღაზიის წინ რიგში მდგომი ქალები თავს დაესხნენ გერმანელ ჯარისკაცთა ჯგუფს, რომელნიც სურსათით ტვირთავდნენ საბარგო მანქანებს. მშიერმა ქალებმა დაიტაცეს მანქანებში ჩაწყობილი პროდუქტები. დაპატიმრებულია 12 ქალი. სოფელ აპატინში შუა ოქტომბერს სისხლისმღვრელი შეტაკება მოხდა უნგრელთა ჯგუფსა და გერმანელი „ფოლკსბუნდის" ახალგაზრდობის გასამხედროებული ორგანიზაციის წევრთა შორის. შეტაკების შედეგად მძიმედ დაიჭრა „ფოლკსბუნდის" 5 წევრი.

რუმინეთში მასობრივად არიდებენ თავს გასაწვევ პუნქტებში გამოცხადებას

სტამბოლი, 20 ოქტომბერი (საქდესი). როგორც რუმინული გაზეთი „კურენტული" იუწყება, ბუქარესტის ოლქის სამხედრო კომენდანტმა გამოსცა ბრძანება არმიაში იმ პირთა გაწვევის შესახებ, რომლებიც მხოლოდ 1943-1944 წელს უნდა გაეწვიათ და რომლებიც წინათ სამსახურის შემოკლებული ვადის უფლებით სარგებლობდნენ. არმიაში იწვევენ აგრეთვე უფროს ასაკთა ყველა იმ პირებს, რომლებიც რაიმე მიზეზის გამო დღემდე გადავადებით სარგებლობდნენ.

გაზეთი აქვეყნებს ნაციონალური თავდაცვის სამინისტროს მიმართვას, რომელიც მოწმობს, რომ რუმინეთში მობილიზაციით გამოცხადებისათვის თავის არიდებამ მასობრივი ხასიათი მიიღო. „უმაღლეს სარდლობას, — ნათქვამია მიმართვაში,—ძალიან ბევრი შუამდგომლობა მოსდის არმიაში მობილიზაციისაგან განთავისუფლების შესახებ. ასეთი შუამდგომლობა ხშირად შემოდის სათადარიგო ოფიცრებისა და ჯარისკაცებისაგან, რომელთაც უკვე მიიღეს უწყება არმიაში გამოცხადების შესახებ. ეს პირნი ხშირად სხვადასხვა ყალბ ცნობებს ადგენენ. ხშირად სათადარიგო ოფიცრები და ჯარისკაცები, რომელთაც მიიღეს უწყება გამოცხადების შესახებ, გასაწვევ პუნქტებში არა ცხადდებიან".

ყოველივე ცდისათვის, რომ თავი აარიდონ გასაწვევ პუნქტებში გამოცხადებას, სარდლობა იმუქრება ულმობლად მკაცრი ზომების მიღებით, თვით დახვრეტითაც კი.

ჯალათი ფრანკი ახალ აწიოკებას უმზადებს ჩეხებს

ჟენევა, 20 ოქტომბერი (საქდესი). ჰიტლერის მოადგილემ პრაღაში ფრანკმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც მოწმობს, რომ გერმანელები ახალ სისხლისმღვრელ რეპრესიებს ამზადებენ. იგი გაფრთხილებას აძლევს, რომ საოკუპაციო ხელისუფლები არავითარ ზომებს არ მოერიდებიან, რათა დაამორჩილონ ჩეხები. ჯალათი ფრანკი ქებით იხსენიებდა თავისი წინამორბედის, ჯალათ ჰაიდრიხის, სისხლიან საქმეებს და იმუქრებოდა, რომ „ჰაიდრიხის პოლიტიკური ანდერძი", ე. ი. განაწესი ულმობლად ჟლეტის ჩეხი პატრიოტებისა, სავსებით უყოყმანოდ შესრულდება. ფრანკმა განსაკუთრებით გაილაშქრა ჩეხი ინტელიგენციის წინააღმდეგ, რომლის დიდი უმეტესობა, როგორც ხაზგასმით აღნიშნა მან, დღევანდლამდე „გერმანიის იმპერიის მტრებისა და ჰაიდრიხის მკვლელთა თანამოაზრეებისაგან შესდგება".

თუ ლონდონში მყოფი ჩეხი პატრიოტები თავიანთ ანტიგერმანულ საქმიანობას არ შესწყვეტენ, განაცხადა ფრანკმა, ჩეხოსლოვაკიაში დარჩენილი მათი ოჯახების მიმართ „სათანადო ზომები" იქნება მიღებული.

შეკითხვა თემთა პალატაში ჰესის შესახებ

ლონდონი, 20 ოქტომბერი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, უპასუხა რა შეკითხვებზე თემთა პალატაში, საგარეო საქმეთა სამინისტროს საპარლამენტო მდივანმა ლოუმ აღნიშნა, რომ ინგლისის მთავრობას არავითარი წინადადება არ მიუღია იმის შესახებ, რომ რუდოლფ ჰესის ცოლისათვის ნება დაერთო ინგლისში მოსულიყო ქმართან.

— როგორც ჩერჩილმა განაცხადა,—დასძინა ლოუმ,—ჰესი სამხედრო ტყვედ მიაჩნიათ და ხან შესაბამისად ეპყრობიან. კიდევაც რომ გაეკეთებინათ ასეთი მომართვა (ჰესის ცოლის ჩამოსვლის შესახებ), იმ შემთხვევაშიც ზედმეტი იქნებოდა ლაპარაკი ისეთ შესაძლებლობათა მიცემაზე, რომლებიც გათვალისწინებული არ არის არავითარი კონვენციით სამხედრო ტყვეების შესახებ.

პალატის ერთ-ერთი წევრის ლეიბორისტის კითხვაზე, ითვალისწინებს თუ არა „შესაბამისი მოპყრობა" ბორკილის გაყრასაც, ლოუმ პასუხი არ გასცა (პალატის წევრს, სჩანს, მხედველობაში ჰქონდა გერმანიის ხელისუფალთა განკარგულება იმის შესახებ, რომ ბორკილი გაუყარონ ინგლისელ სამხედრო ტყვეებს).

ჰელის განცხადება გაზეთ „პრავდის" მოწინავე წერილის გამო
„დანაშაულებრივმა ჰიტლერულმა ხროვამ პასუხი უნდა აგოს"

ვაშინგტონი, 19 ოქტომბერი (საქდესი). სახელმწიფო მდივანმა ჰელმა, უპასუხა რა პრეს-კონფერენციაზე დასმულ შეკითხვას „პრავდის" მიერ 19 ოქტომბრის მოწინავე წერილში წამოყენებული მოთხოვნის გამო, რომ გამოტანილ იქნას გადაწყვეტილება იმის შესახებ, ჰესი დამნაშავეა თუ სრულუფლებიანი წარმომადგენელი, განაცხადა, რომ „პრავდის" მიერ წამოყენებული საკითხი ამჟამად უფრო მეტად ეხება ინგლისის მთავრობას, ვიდრე ამერიკისას. შეკითხვაზე, მიზანშეწონილია თუ არა სამხედრო დამნაშავეთა გასამართლება ომის დროსო, ჰელმა უპასუხა, რომ ეს კითხვა დაკავშირებულია ზოგიერთ წერილობით დოკუმენტთან, რომლებიც უკვე გასცეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და სხვა ქვეყნების მთავრობებმა, აგრეთვე მათ მიერ გამოთქმულ შეხედულებებთან და მთლიანად ამ პრობლემის შესახებ მათ მიერ დაკავებულ პოზიციასთან. ამიტომ ამჟამად მიზანშეუწონელი იქნებოდა განხილული ყოფილიყო ამ პრობლემის რომელიმე იზოლირებული ასპექტი.

გამოხმაურება ლათინური ამერიკის ქვეყნებში უელესის განცხადებაზე ჩილისა და არგენტინის პოზიციის შესახებ

ნიუ-იორკი, 19 ოქტომბერი (საქდესი). ლათინური ამერიკიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ უელესის სიტყვამ, რომელშიც მან დაჰგმო ჩილისა და არგენტინის პოზიცია, მოწონება გამოიწვია ამერიკის მრავალ ქვეყანაში, აგრეთვე არგენტინის და ჩილის საზოგადოებრიობის ფართო წრეებში, რომელნიც უკვე დიდი ხანია ღერძის სახელმწიფოებთან ურთიერთობის გაწყვეტის მომხრენი არიან.

ასოშიეტედ პრესის სააგენტოს ცნობით, კოლუმბიის თვალსაჩინო ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კოლუმბიის პრეზიდენტი ლოპესი და ვენესუელის პრეზიდენტი მედინა ერთობლივად ცდილობენ მიაღწიონ ჩილისა და ამერიკის შეერთებული შტატების დაახლოებას. ამას წინათ ორივე პრეზიდენტმა დაწვრილებით განიხილეს საკითხი, თუ რა მეთოდებს მიმართონ, რომ ჩილმა და არგენტინამ უფრო აქტიურად დაუჭირონ მხარი ამერიკის კონტინენტის ქვეყნების საერთო ღონისძიებებს.

როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი გადმოგვცემს, ნიკარაგუას რესპუბლიკის პრეზიდენტმა სამოსამ განაცხადა, რომ იგი მხარს უჭერს უელესის განცხადებას.

მასარიკის მიმართვა ჩეხოსლოვაკიელი ხალხისადმი

ლონდონი, 20 ოქტომბერი (საქდესი). როგორც ლონდონის ჩეხოსლოვაკიელთა წრეებში იუწყებიან, საზღვარგარეთ ემიგრირებულ ჩეხოსლოვაკიელთა ნათესავების ინტერნირების მუქარა, რასაც ფრანკის სიტყვა შეიცავს, მიმართულია, კერძოდ, ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო საბჭოს წევრთა წინააღმდეგ. ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრმა იან მასარიკმა, რომელმაც ლონდონში რადიოთი წარმოსთქვა მიმართვა ჩეხოსლოვაკიელი ხალხისადმი, განაცხადა: „საძაგელი ფრანკი დიდ შეცდომას სჩადის, თუ ჰგონია, რომ შეუძლია დაგვაშინოს თქვენ და ჩვენ. ჩვენ ჩვენს საქმეს განვაგრძობთ, თქვენ კი ბრძოლას განაგრძობთ. მოკავშირეებთან ერთად ჩვენ უკვე მივიღეთ გადაწყვეტილება დავსაჯოთ უკლებლივ ყველა, ვისაც ბრალი მიუძღვის სამხედრო დანაშაულთა ჩადენაში. ჩეხოსლოვაკიის მთავრობისა და ყველა მოკავშირე მთავრობათა სახელით მე გიმეორებთ ამას თქვენ და თქვენს წამებულთ, ჩვენ მათ მაცრად გავასამართლებთ, ძალიან მკაცრად".

პასუხისმგებელი რედაქტორი ვ. ხატიაშვილი

თბილისის სახელმწიფო ცირკი საბჭოთა კავშირის გმირთა მოედანი, ტელეფონი № 3-11-44, 3-55-27
1942—43 წ. სეზონი
22, 23, 24, 25 და 26 ოქტომბერს
ცირკის გახსნა
დიდი საცირკო წარმოდგენა
მონაწილეობენ საცირკო ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის საუკეთესო ოსტატები.
წარმოდგენის დასაწყისი საღამოს სრულ 7 საათზე. დაწყებულია ბილეთების წინასწარი გაყიდვა. სალაროები ღიაა დღის 12-დან 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდან.
კვირას, 25 ოქტომბერს
პირველი წარმოდგენა დღისით
საღამოს პროგრამით
დასაწყისი დღის 1 საათზე. სალაროები ღიაა დილის 10 საათიდან.

ცეკავშირის ბაზების თანამშრომლები იუწყებიან რაჟდენ ანჯაფარიძის მეუღლის
ფაიო მანუჩარის-ასულ ანჯაფარიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 21/X, 7 ს. გამოსვენება 22/X, 6 ს. ლენინის ქ. № 66. 1328

თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივი იუწყება
ვლადიმერ (ლადო) მიხეილის-ძე მირიჯანაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 21/X, 7 ს., პლეხანოვის პრ. № 184. დაკრძალვა 22/X, 5 ს. კუკიის სასაფლაოზე.

ცეკავშირის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან
გერმანე ზოსიმეს-ძე რუსიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 25/X, სოფ. ვედიდკარში (გეგეჭკორის რაიონი). 1331

ლ. პ. ბერიას სახელობის ა.-კ. რკინიგზის თბილისის განყოფილების პოლიტგანყოფილების თანამშრომლები იუწყებიან სექტორის უფროსის იორდანე ალექსანდრეს-ძე ეგაძის დედის
ანასტასია (ტასო) გაბრიელის-ასულ ეგაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 21/X, 6 ს. ცემის ქ. № 16 (დიდუბე). დაკრძალვა 22/X, 5½ ს., კუკიის სასაფლაოზე. 1330

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.
უე 11019